ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში არის 12 საკლასო ოთახი, ოთახებში განლაგებულია 122 ინდივიდუალური მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით. თითოეულ კლასში 10-10 მერხია, მხოლოდ ერთ კლასშია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი რაოდენობის (12) მერხი. გარდა ამისა, ყველა საკლასო ოთახში არის მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდა (მერხი) და სკამი, დაფა, კარადები და სხვა მატერიალური საშუალებები. გიმნაზიას ვიზიტი პერიოდში უცხოეთიდან შესყიდული ჰქონდა 12 ერთეული ინტერაქტიული დისპლეი კლასებში დასამონტაჟებლად, თუმცა საქონელი გზაში იყო და ჯერ მიღებული არ იყო. შესყიდვის დოკუმენტაციით გიმნაზიას უდასტურდება აღნიშნული ინვენტარის ფლობა. საკლასო ოთახები შენობაში განაწილებულია შემდეგნაირად: I, II და III კლასების საკლასო ოთახები შენობის მეორე სართულზეა, ხოლო IV-XII კლასის საკლასო ოთახები - მე-4 სართულზე. გარდა ამისა, სკოლის მიზნებისთვის გამოიყენება მესამე სართულის გარკვეული ნაწილი, რომელშიც მოწყობილია სატრაპეზო, სველი წერტილები, საექთნო და საიზოლაციო ოთახი. პირველი სართული მთლიანად, ხოლო მეორე და მესამე სართულების დარჩენილი ნაწილი განკუთვნილია გიმნაზიის მოსწავლეთა საცხოვრებლისთვის. მეხუთე სართულზე (მანსარდი) განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და ბენდის ოთახი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. შესყიდვის დოკუმენტაცია; 3. ინტერაქტიული დისპლეების შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეოთხე სართულზე მოწყობილია დიდი ზომის, მაღალჭერიანი, კაპიტალური სპორტული დარბაზი, ხოლო სკოლის ეზოში - სპორტული მოედანი, ხელოვნური მწვანე საფარით. გიმნაზიას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: სხვადასხვა სახეობის ბურთები, ჰულაჰუპები, ფრენბურთის ბადე, ასევე სპორტული ფორმები - შეჯიბრებისთვის და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების გამოგზავნის პროცესში გიმნაზიას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია მოწყობილი ჰქონდა შენობის მეოთხე სართულის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც აკმაყოფილებდა ლაბორატორიის ოთახის მოთხოვნებს და რომელშიც მოწყობილი იყო გამწოვი, სველი წერტილი, კარადები ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის. ლაბორატორიული აღჭურვილობა კი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისი. თუმცა, უკეთესი ლაბორატორიული გარემოს მოწყობის მიზნით, გიმნაზიამ ეზოში ააშენა შენობა - განცალკევებით ძირითადი შენობისგან და მოაწყო კიდეც ლაბორატორია, რომლის ფართობი გაცილებით მეტია (154,5 კვ.მ.), ვიდრე მანამდე არსებული ლაბორატორიისთვის განკუთვნილი ოთახისა (30,8 კვ.მ.). ამასთან, ახალ ლაბორატორიაში მოწყობილია ცდების სადემონსტრაციო კარადა გამწოვით, ლაბორატორიული მაგიდები მოსწავლეებისთვის, ორი ონკანი ნიჟარით, ბუნებრივი განათება/განიავების საშუალება. ლაბორატორიული მოწყობილობები, რომელიც გიმნაზიას მანამდეც ჰქონდა შეივსო დამატებითი ლაბორატორიული აღჭურვილობით, რომლებიც განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიაში დგას ინტერაქტიული დისპლეი - ე.წ. „ჭკვიანი დაფა“, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩატვირთულია ელექტრონული რესურსი - ბიოლოგიის თვალსაჩინოება. ვიზიტის პერიოდისთვის ახალაშენებული შენობა არ იყო საჯარო რეესტრში დაფიქსირებული, თუმცა გიმნაზიას განცხადება ჰქონდა შეტანილი შენობის რეესტრში გატარების მიზნით (განცხადების N21406242, განცხადების რეგისტრაციის დრო 2022 წლის 13 სექტემბერი, დრო 17:13). დასკვნის პროექტის მომზადების პროცესში, საჯარო რეესტრის უძრავი ქონების რეგისტრაციის რეესტრში, რომელზე წვდომაც საჯაროა ნებისმიერი მსურველისთვის, აისახა (რეგისტრაციაში გატარდა) ლაბორატორიის შენობაც (შენობა N2). აღნიშნული ინფორმაცია იხ. ბმულზე: http://abstract.reestri.gov.ge/abstract/cad_amo.php?cad_code=22.24.02.496
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია; 3. ბმული ამონაწერის სანახავად.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 გიმნაზიაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ყველა სართულზე მოწყობილია რამდენიმე სველი წერტილი. ზოგი სველი წერტილი გამოიყენება სასწავლო პროცესის დროს, რადგან განთავსებულია სკოლისთვის განკუთვნილ ნაწილში. ზოგი განთავსებულია საცხოვრებელ ნაწილში. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით. შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტროენერგია და გაზი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. გიმნაზია წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს. წყალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეუფერხებლად მიეწოდება სოფლის წყალმომარაგების სისტემიდან და უფასოა მისი მოხმარება არა მარტო სკოლისთვის, არამედ მთელი სოფლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. საბუღალტრო დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 გიმნაზიაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მანსარდის სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს წარმოადგენს: 3967 ერთეული ძირითადი საბიბლიოთეკო ფონდი; 150 ერთეული უცხოენოვანი ლიტერატურა; 1540 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელოები; 236 ერთეული დამხმარე ლიტერატურა. თითოეული ამ კატეგორიის ფონდისთვის არსებობს საინვენტარო წიგნები, მატერიალური სახით და ასევე ელექტრონულად გაკეთებულია რეესტრი ექსელის ფაილში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. გიმნაზიას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი და სანათურებით გაწყობილი სამკითხველო მაგიდა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის კარზე გამოკრულია ინფორმაცია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების შესახებ. გიმნაზიას გამოწერილი აქვს „საბავშვო კარუსელი“ და „კვირის პალიტრა“, რომელთან ერთად იღებს წიგნებსაც, რომელიც ახლავს გაზეთს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. წიგნების შესყიდვის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. საინვენტარო წიგნები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 გიმნაზიას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. პირველ სართულზე შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებზე გადასაადგილებლად გიმნაზიას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსი, რომელიც დასაწყობებულია და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 გიმნაზიას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. გიმნაზიაში სულ 20 კომპიუტერია. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 12 კომპიუტერი. ნაწილი გამოიყენება სასკოლო ადმინისტრაციის საჭიროებისთვის, ხოლო ნაწილი სკოლის მოსწავლეთა საცხოვრებლებშია განთავსებული.. გიმნაზიაში ასევე არის პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://gimnaziapansioni.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 გიმნაზიაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებითა და განგაშის სასიგნალო ღილაკებით. გიმნაზიას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. საევაკუაციო გეგმების მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ხუთივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. შენობაში განთავსებულია საევაკუაციო გასასვლელების მაჩვენებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მესამე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი და მასთან მიმდებარედ იზოლატორის დანიშნულების ოთახი. გიმნაზიას ჰყავს 2 ექიმი და 3 ექთანი. ექიმები დღის განმავლობაში არიან გიმნაზიაში მორიგეობით, ხოლო ექთნები 24 საათის განმავლობაში, ასევე მორიგეობით. გიმნაზიას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“. აღნიშნული წესით რეგულირდება, როგორც სკოლის ექიმის მიერ მოსწავლეთა მიმართ განხორციელებული სამედიცინო მომსახურეობის წესი, ასევე მის მიერ სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მათზე რეაგირების თანმიმდევრობა, სადეზიფექციო ხსნარების გამოყენების წესი და სხვა. ექიმი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას. გიმნაზიას მიეცა რჩევა სამედიცინო კაბინეტი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გიმნაზიაის შენობაში არის ამის საშუალება, გადაიტანოს შენობის პირველ სართულზე, როგორც ეს რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით. გიმნაზიის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და პირველ სართულზე მოაწყო სამედიცინო კაბინეტი, ამასთან, მესამე სართულზე არსებული კაბინეტიც შეინარჩუნა. ორივე კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისად და ჟურნალები იწარმოება ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ექიმებთან და ექთანთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3. მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გიმნაზიას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი. თუმცა, ეს წესი არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან. გიმნაზიას მიეცა რეკომენდაცია შეეთანხმებინა სამინისტროსთან აღნიშნული წესი. გიმნაზიამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და სკოლის მიერ შეიმუშავებული წესი შესათანხმებლად გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ვიზიტის პერიოდში. გიმნაზიამ შეთანხმების გაგზავნის წერილი ატვირთა ვიზიტის დროს მოწოდებულ დოკუმენტებში. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავდა „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი“ - დირექტორის მოადგილე. შენობაში მორიგეობენ მასწავლებლები - სკოლისთვის განკუთვნილ ფართში და აღმზრდელები - საცხოვრებლისთვის განკუთვნილ ფართში. გარდა ამისა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს, თავის კომპეტენციის ფარგლებში, დარაჯი. მოსწავლეები საცხოვრებელ ფართში განაწილებული არიან შემდეგნაირად; მესამე სართულზე არიან დაწყებითი კლასების ბავშვები, მეორე სართულზე - გოგონები, ხოლო პირველ სართულზე - ვაჟები. თითო ოთახში მაქსიმუმ 4 მოსწავლეა და ყოველ ორ ოთახს ჰყავს ერთი აღმზრდელი-კურატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. 3. ვიზუალური დათვალიერება; 4. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება, სკოლის სივრცისთვის განკუთვნილ ადგილებში ხდებოდა ყველგან, სადაც ეს დასაშვებია (ანუ დერეფნებსა და საჯარო სივრცეებში, არა კლასებში), ხოლო საცხოვრებელ სივრცეში, მხოლოდ დერეფნებში. გარე სივრცის დათვალიერება ხდებოდა ყველა გამოსასვლელზე, გარდა პირველი სართულის ერთი სათადარიგო/საევაკუაციო გასასვლელისა. გიმნაზიას მიეცა რეკომენდაცია სრულად უზრუნველყოს სათადარიგო გასასვლელების ვიდეოკონტროლი, რაც გიმნაზიამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში შეიძინა დამატებით 1 ვიდეოკამერა და დაამონტაჟა შესაფერის ადგილას. კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე დირექციის სამუშაო ოთახში. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟებაექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადები; 3. საბანკო გადარიცხვა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 გიმნაზიას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავებული აქვს წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის გიმნაზიაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს გიმნაზიასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარდა ამისა, გიმნაზიაში საქმიანობის წარმართვის მხარდამჭერ დოკუმენტებს განეკუთვნება თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ და ამ ინსტრუქციებით ხორციელდება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქცია-მოვალეობათა გადანაწილება და სკოლის საქმიანობის წარმართვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის წესდება; 2. სკოლის შინაგანაწესი; 3. თანამდებობრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიას შემუშავეული და დამტკიცებული აქვს 6-წლიანი (2017-2023) სტრატეგიული და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები. გიმნაზია დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორის პრიორიტეტულია: • გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა; • გიმნაზიის აღჭურვა სასწავლო რესურსებით და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით; • უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა; • ინფრასტრუქტურის განახლება, გაუმჯობესება; თითოეული სტრატეგიული მიმართულება კიდევ უფრო ჩაშლილია კონკრეტული აქტივობების სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც სტრატეგიული გეგმის ბოლო წელია, ითვალისწინებს: • მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებისთვის განკუთვნილი ინვენტარის (რესურსის) განახლება, გადახედვა (რისკის ჯგუფის მოსწავლეების გამოვლენა) • საგანამანათლებლო რესურსების განახლება შევსება; • სკოლის ინვენტარიზაცია; • საგნობრივი საკლასო კაბინეტის მოწყობა და მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით; • საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რეაქტივებით, მულაჟებით შევსება; • ბიბლიოთეკის შევსება განახლება; გეგმაში მითითებულია შესრულების დრო ან/და პერიოდი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა; 2. 1-წლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში შემუშავებულია საქმისწარმოების დებულება. რომელიც ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალებს: ა) შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის წიგნი; ბ) გასული კორესპოდენციის აღრიცხვის წიგნი; გ) ბრძანებები ადმინისტრაციის საქმიანობასა და თანამშრომელთა პირად შემადგენლობაზე; დ) მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებები; ე) ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თითოეული სახის დოკუმენტი რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში და ენიჭება ჟურნალის შესაბამისი ინდექსი და ნომერი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; 2. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები; 5. საქმისწარმოების დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 გიმნაზიას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის გიმნაზიას ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. საშტატო განრიგის მიხედვით, გიმნაზიაში დასაქმებულია სულ 38 ადამიანი. მათ შორის: დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, 3 ექთანი, ფსიქოლოგი, მეეზოვე, საქმისმწარმოებელი, 2 დამლაგებელი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, დაცვა, ცეცხლფარეში, ბუღალტერი, აიტი სპეციალისტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორის მასწავლებლის ასისტენტი, 23 მასწავლებელი. სკოლის მასწავლებლები სტატუსის მიხედვით ასე ნაწილდება: 1-წამყვანი, 18-უფროსი, 1-მოწვეული და 3-უსტატუსო. მოწვეული მასწავლებლის (არჩევითი საგანი-კინოხელოვნება) საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს. უსტატუსო მასწავლებლებიდან 1 ასწავლის საღვთო სჯულს, 1- საგზაო ნიშნებსა და უსაფრთხოებას, ხოლო 1- სპორტს. გიმნაზიას ჰყავს 2 ექიმი (პედიატრი და ოჯახის ექიმი), რომელთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებს. სკოლის საათობრივი ბადისა და მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, გიმნაზიას ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის საშტატო განრიგი; 2. განათლების მართვის სისტემა, Eschool-ბაზა; 3. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	1
უსტატუსო მასწავლებლი	3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

უფროსი მასწავლებელი	18
წამყვანი მასწავლებელი	1
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV, არის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები; 2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -eschool-ის ბაზა; 3. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 გიმნაზიაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიის შინაგანაწესის მეორე მუხლში განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების მექანიზმები. თანამშრომელთა დასაქმება გიმნაზიაში ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების შესაბამისად, კონკურსის წესით, ობიექტურობის, თანასწორობის, არადისკრიმინაციული და კოლეგიურობის პრინციპების დაცვით; სამუშაოზე მიღებულ თანამშრომელთა სახელზე გახსნილ პირად საქმეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი ყველა ის დოკუმენტი, რომლებისაც განსაზღვრავს საქართველოს ნორმატიული აქტები და გიმნაზიის შინაგანაწესი. შინაგანაწესში ასევე განსაზღვრულია წახალისებისა და სანქციების მექანიზმები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინა, რომ გიმნაზიაში იშვიათია არაა მასწავლებელთა წახალისების სხვადასხვა ფორმის გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. გიმნაზიის შინაგანაწესი 2. ინტერვიუ გიმნაზიის წარმომადგენლებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში არის ის ძირითადი პუნქტები, რომლებიც შრომის კოდექსის მოთხოვნითაა გათვალისწინებული. კერძოდ, გარდა მხარეთა უფლება-მოვალეობებისა, გვხვდება კუთვნილი შვებულებით სარგებლობის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, შრომის ანაზღაურების, სამუშაო და დასვენების დროს შესახებ ჩანაწერი; ასევე დავების გადაწყვეტის წესისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დასაქმებულის თანხმობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 გიმნაზიას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია დებულება, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას. გიმნაზიამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების სქემები და მასწავლებელზე მიცემული რეკომენდაციები. გარდა ამისა. მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიერ დაგეგმილ და წარმოებულ სხვადასხვა ტრენინგს. გიმნაზიას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები“. დოკუმენტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პარალელურად სხვა თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზეცაა ორიენტირებული და მიზნად ისახავს გიმნაზიის მაღალკვალიფიკაციური კადრებით აღჭურვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ა(ა)იპ ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზიის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; 2. გაკვეთილზე დასწრების შეფასების სქემები; 3. „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები“.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 გიმნაზიაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გიმნაზიაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ის მართლაც ერთი ოჯახივით არის, რადგან 24 საათის განმავლობაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა უმრავლესობა ერთმანეთის გვერდითაა. როგორც ზემოთ აღინიშნა, გიმნაზია ძირითადად შეჭირვებულ ოჯახის შვილებს ემსახურება, მოსწავლეთა ერთ ნაწილს საერთოდაც არ ჰყავს საკუთარი ოჯახი, ერთი ნაწილი დიდი პერიოდის განმავლობაში გიმნაზიაში იმყოფება და მხოლოდ იშვიათად სტუმრობს საკუთარ ოჯახებს, ამდენად მოსწავლეები მასწავლებლებს მშობლებადაც კი აღიქვამენ და ხშირად მათთვის სასურველ რჩევებს იღებენ. როგორც აღინიშნა, გიმნაზიაში განვითარებულია ხელოვნების სტუდიური მუშაობა. გიმნაზიაში ძირითადად სწავლობენ ხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებიც თავიანთი ინტერესების შესაბამისად ირჩევენ სტუდიებს, სწავლობენ და საშუალება აქვთ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები სკოლის წამომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 29.09.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.